პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მდებარე N28.13.22.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობაში არსებული N13, N14, N15, N16 და N17 არასაცხოვრებელი ფართის (113.90 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპლიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მდებარე N28.13.22.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობაში არსებული N13, N14, N15, N16 და N17 არასაცხოვრებელი ფართის (113.90 კვ.მ.), 10 (ათი) წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე;

2. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 342 (სამას ორმოცდორი) ლარის ოდენობით;

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში;

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: ვალერი ყაჭეიშვილი